შპს „გერა გრუპ"

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

შპს გერა გრუპ
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გერა გრუპ (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში. რეგისტრაციის თარიღი: 08/08/2013. საიდენტიფიკაციო ნომერი 445429858 .
კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს:
>დეველოპერული საქმიანობა
>სამშენებლო საქმიანობა
მიმდინარე მშენებარე კორპუსები: ბათუმი (ანგისა).
კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, 9 მარტის ქ., N 3, ბ. 4.
2023 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრეა 61001065138, გიორგი ქარცივაძე, საქართველო, რუსეთის ფედერაცია.
კომპანიის დირექტორი: 61006005512, ტარიელ ქარცივაძე, საქართველო, რუსეთის ფედერაცია.
კომპანიის სტატუსია: ფუნქციონირებადი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის და ინტერპრეტაციების შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.
კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანია საქართველოში.
კომპანიის მენეჯმენტს არ ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს ქვეყანაში არსებული ყველა მოვლენა, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის აკეთებს ყველა შესაძლო შეფასებას, რათა განაპირობოს კომპანიის განვითარება და მდგრადობა.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

3.1. ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის

,,გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით". საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი კომპანიის ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე კომპანიის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივი ნებისმიერი აქტივია, როგორიცაა: ა) ფულადი სახსრები; ბ) სხვა კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტი; გ) კომპანიის სახელშეკრულებო უფლება: (i) სხვა კომპანიისაგან მიიღოს ფული ან სხვა ფინანსური აქტივი; ან (ii) მისთვის პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით სხვა კომპანიას გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ან დ) ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება ან შესაძლებელია ანაზღაურდეს კომპანიას საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.

3.2. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

3.3. გადახდილი ავანსები

საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები თავდაპირველად აღიარდება გადახდილი თანხის ოდენობით და საჭიროებისამებრ კორექტირდება შესაძლო გაუფასურებით. ავანსები ითვლება გაუფასურებულად, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სრულად მიიღოს ის საქონელი და მომსახურება, რაც გათვალისწინებულია მხარეებს შორის თავდაპირველი შეთანხმებით.

3.4. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც:

ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან

ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

3.5. მოთხოვნების აღრიცხვა

- მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან აისახება გამიჯნულად.
- მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით, რისთვისაც მოთხოვნების კორექტირება ხდება საეჭვო მოთხოვნების თანხით.

- საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით.

3.6.სესხების აღრიცხვა

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც ისინი იქნენ გაწეულნი, იმისდა მიუხედავად, თუ რა მიზნით იქნა გამოყენებული აღებული სესხი.

3.7. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მომწოდებლების მიმართ გადახდილ თანხებს.

3.8.ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით.

ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა.

3.9. ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის საარრიცხვო პოლიტიკაში.

3.10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლების იმყოფება საზოგადოების განკარგულებაში და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

- შეძენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

- საკუთარი ძალით შექმნილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში ტარდება მისი შექმნის ფაქტიური თვითღირებულებით. ღირებულებაში არ შეიტანება მოგება/გეგმიური დაგროვება.

- უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით.

- ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში გატარდება საიჯარო ქონების რეალური ღირებულებით.

- საზოგადოება ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს გადაფასების რეზერვიდან.

- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. გამონაკლისს წარმოადგენს მსუბუქი ავტომობილები, რომელთა ცვეთა ხდება მწარმოებლურობის მეთოდით.

- ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. კონკრეტულ ძირითად საშუალებაზე სალიკვიდაციო ღირებულებასა და წლიური ცვეთის ნორმას ადგენს საზოგადოების ხელმძღვანელი.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	0
მანქანა დანადგარები	5-10
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	6-8 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	7 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

3.11. არამატერიალური აქტივები

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით.

- უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით.

- არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით.

- არამატერიალური აქტივების ცვეთის ნორმებს ადგენს ხელმძღვანელი ან/და მის მიერ დანიშნული კომისია. ნორმა განისაზღვრება გამოყენების ვადის მიხედვით. თუ არ იქნება განსაზღვრული ცვეთის ნორმები, გამოიყენება პროცენტი - 10.

- ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

3.12. სხვა აქტივების აღრიცხვა

- მრავალჯერადი გამოყენების აქტივები (სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშუალებები), რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

3.13. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, იჯარა, შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება ინდივიდუალურ დანახარჯთა მეთოდით, როცა ეს მიზანშეწონილი და შესაძლებელია. თუ ამ მეთოდის გამოყენება არ ხდება (ვერ ხერხდება), მაშინ გამოიყენება საშუალო ფასების მეთოდი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით.

3.14. დაბეგვრა

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

3.15. შემოსავალი

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

3.16. ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება-ასახვა ხდება დარიცხვის მეთოდით, ბასს-ების შესაბამისად, ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი.

ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით.

3.17. ხელფასების აღრიცხვა

მომუშავეთა ხელფასების დარიცხვა ხორციელდება ყოველთვიურად, საზოგადოების ხელმძღვანელის გრძანების საფუძველზე ან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. თუ შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული არაა, ან მასში არ არის ცალსახად განსაზღვრული შრომითი ანაზღაურების სიდიდე, მაშინ ანაზღაურების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საზოგადოების ხელმძღვანელის ხელმოწერით დამტკიცებული ხელფასის უწყისი.

3.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, **აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.**

3.19. უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების სედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე.

ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისაგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება.

5. შემოსავლები საქონლის გაყიდვიდან

	31.12.2023	*31.12.2022*
სულ:	267 293,00	375 268,00
მათ შორის:		
საქონლის გაყიდვიდან	243 072,00	364 963,00
მომსახურებიდან	33 488,00	0,00
სხვა საკურსო სხვაობიდან	24 221,00	10 305,00

6. დასაქმებულთა ანაზღაურება

	2023	2022
სულ ანაზღაურება	464 634,00	407 434,00
მათ შორის:		
ხელფასი	464 634,00	407 434 ,00

დასაქმებულთა ანაზღაურება დამატებულია საქონლის თვითღირებულებაში ამიტომ ცალკე არ გამოიყოფა.

7. სხვა ხარჯები

	2023	2022
სულ	24 590.00	12 459.00

8. ფულადი სახსრები

	31.12.2023	***31.12.2022***
ნაღდი ფული	0.00	0.00
ლარი საბანკო ანგარიშზე	897,00	1 035 303,00
ჯამი	897,00	1 035 303,00

9. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2023	***31.12.2022***
სავაჭრო მოთხოვნები	686 796,00	549 138 ,00
ჯამი	686 796,00	549 138,00

10. მზა პროდუქცია

	31.12.2023	***31.12.2022***
ჯამი	180 254,00	8 060 668.00

11. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

-მიწა-არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მდებარეობს ბათუმი, ინასარიძის 13;
-სხვა ძირითადი საშუალებები შედგება შემდეგი დასახელებებისაგან: ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული მოწყობილობა, საამშენებლო დანადგარები და ამწე-კრანი.

12. სავაჭრო ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	0,00	366 230,00
ჯამი	0,00	366 230,00

13. 14. მესაკუთრეებისაგან ნასესხები სახსრები

	31.12.2023	31.12.2022
მესაკუთრეებისაგან ნასესხები სახსრები	1 717 593,00	2 057 596,00
ბანკის სესხი	0,00	664 663.00
ჯამი	1 717 593,00	2 722 259,00

15. სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
სხვა ვალ დ ებუ ლ ებები	10 068 143,00	5 139213,00
ჯამი	10 068 143,00	5 139 213,00

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისათვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშრებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდის პირობებს შესთავაზებენ.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

- **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების

რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

- **საპროცენტო რისკი**

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო.

კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში არ დამდგარა ისეთი მოვლენები/გარემოება, რომელიც სხვაგვარად წარმოადგენდა 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას ან მნიშვნელოვნად შეცვლიდა ამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

ტარიელ ქარცივაძე

დირექტორი

საქართველო, შპს "გერა გრუპ"
GEORGIA, "GERA GROUP" LTD
Gera Group
445429858

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ორგანიზაციის დასახელება: შპს გერა გრუპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 445429858

საანგარიშგებო პერიოდი -2023 წელი

აქტივები				
	შენიშვნა	2023	2022	2021
ფულადი სახსრები	8	897	1,035,303	39,119
სავაჭრო მოთხოვნები	9	686,796	549,138	461,578
გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		903,318	3,639	84,475
მარაგი		**180,254**	**8,060,668**	**6,164,514**
-მზა პროდუქცია	10	180,254	8,060,668	6,164,514
-სხვა -დაუმთავრებელი მშენებლობა		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
- თვითღირებულების მოდელით				-
- გადაფასების მოდელით				-
ძირითადი საშუალებები	11	**157,987**	**180,091**	**205,242**
- მიწა		-	-	-
- შენობა-ნაგებობა		-	-	-
- სხვა ძირითადი საშუალებები		157,987	180,091	205,242
-არამატერიალური აქტივები		-	-	-
-საიჯარო აქტივები, საკუთრების გადაცემის პირობით				-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-		-
კაპიტალი (გაუნაღდებელი ნაწილი)		-		-
სულ აქტივები		**1,929,252**	**9,828,839**	**6,954,928**

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
ვალდებულებები	შენიშნები	2023	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	12	-	366,230	300,880
ანარიცხები		-	-	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	58,157	-
დარიცხული ხარჯები და გადავადებული შემოსავალი				
მესაკუთრეებისაგან ნასესხები სახსრები	13	-	2,057,596	2,115,780
ბანკებისაგან ნასესხები სახსრები	14	1,717,593	664,663	686,595
სხვა ნასესხები სახსრები		-	-	-
სხვა ვალდებულებები	15	10,068,143	5,139,213	2,422,565
სულ ვალდებულებები		***11,785,736***	***8,285,859***	***5,525,820***
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		(9,856,484)	1,542,980	1,429,108
გადაფასების რეზერვი				
სხვა კაპიტალი		-	-	
სულ კაპიტალი		**(9,856,484)**	**1,542,980**	**1,429,108**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**1,929,252**	**9,828,839**	**6,954,928**

ტარიელ ქარცივაძე

დირექტორი

GEORGIA "GERA GROUP" LTD 445429858

საქმიანობის შედეგი

(შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებ)

		2023	2022	2021
ნეტო ამონაგები	*შენიშვნა*	*267,293*	*375,268*	*393,046*
- საქონლის გაყიდვიდან	5	243,072	364,963	389,064
- მომსახურების გაწევიდან		-	-	-
-სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		33,488		
- სხვა		24,221	10,305	3,982
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება		*(10,491,606)*	*(155,592)*	*(106,758)*
- საწყისი მარაგი		(8,060,668)	(6,164,514)	(5,040,861)
- შესყიდვა		(2,611,192)	(2,051,746)	(1,230,411)
- გადამუშავების დანახარჯები			-	
- საბოლოო მარაგი		180,254	8,060,668	6,164,514
საერთო მოგება		*(10,224,313)*	*219,676*	*286,288*
სხვა შემოსავალი		-	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	6	-	-	-
ცვეთა/ამორტიზაცია		(21,002)	(26,252)	(32,816)
გაუფასურების ხარჯი				-
- ფინანსური აქტივები				
- მარაგები				
- სხვა არაფინანსური აქტივები				
საპროცენტო შემოსავალი		22,192	-	-
საპროცენტო ხარჯი		(21,768)	(67,093)	(64,312)
სხვა ხარჯები	7	(24,590)	(12,459)	(11,318)
მოგება, მოგების გადასახადის ხარჯამდე		*(10,269,481)*	*113,872*	*177,842*
მოგების გადასახადი				-
საანგარშიგებო პერიოდის მოგება/ზარალი		*(10,269,481)*	*113,872*	*177,842*
საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული		*412,997*	*1,429,108*	*1,251,266*
- საწყისი გაუნაწილებელი მოგება გადაანგარიშებამდე (გასული წლის საბოლოო ნაშთი)		1,542,980	1,429,108	1,251,266.00
-გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავენა		1,129,983		
-გასული პერიოდის სააღრიცხვი პოლიტიკის გავლენა				
ბიოლოგიური აქტივის გასვლისას, გადაფასების რეზერვის ნაშთის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში				
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)				
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		*(9,856,484)*	*1,542,980*	*1,429,108*

ტარიელ ქარცივაძე

დირექტორი

საქართველო, შპს. "GERA GROUP" LTD GEORGIA 445429858 Gera Group

ფულადი სახსრების მოძრაობა	2023წელი 31 დეკემბერ	2022წელი 31 დეკემბერ
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	**(10,269,481)**	**113,872**
კორექტირებები:		
ცვეთა და მორტიზაცია	21,002	26,252
მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	**(10,248,479.00)**	**140,124.00**
კლება/ზრდა:		
ცვლილებები მარაგში	7,880,414	(1,896,154)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(137,658)	(87,560)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(366,230)	65,350
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-
საგადასასხადო აქტივი	(899,679)	80,836
საგადასახადო ვალდებულება	(58,157)	58,157
მოგების გადასახადი		
ავანსი	4,928,930	2,716,648
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**1,099,141**	**1,077,401**
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა		-
მიმდინარე აქტივები		4,794
კაპიტალის შემცირება	-	-
გაცემული/მიღებული დივიდენდი		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**-**	**4,794**
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	-	503,910.00
გაცემული სესხები	(1,103,564)	(589,921)
ფინანსური ოპერაციიდან მიღებული სხვა შემოსავალი	(1,029,983)	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	**(2,133,547)**	**(86,011)**
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(1,034,406)	996,184
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,035,303	39,119
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	897	1,035,303
	(1,034,406)	996,184
	-	-

ტარიელ ქარცივაძე

დირექტორი

GEORGIA, "GERA GROUP" LTD 445429858 Gera Group